სს "ენერგო-პრო ჯორჯია"

დანართი 2

დადგენილება #ე.პ. 0623-25
გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის
დადების შესახებ

თბილისი 22 მაისი 2025

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი):

ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას" სათაო ოფისის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი კომისია, კომისიის თავმჯდომარე ნინელი ბოჭორიშვილი

2. საქმის განხილვის თარიღი: 2025 წლის 22 მაისი

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

შპს ,, კახრი რეზორტი"

მდებარე, იურიდიული მისამართი: მესტიის რაიონი, დაბა მესტია, ს.ბარლიანის ქუჩა #4

საიდენტიფიკაციო კოდი # 435895916

ფაქტობრივი ადგილსამყოფელი:

.....

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

2025 წლის 31 მარტს, მესტიის მუნიციპალიტეტში, კერძოდ, დაბა მესტიაში, დაფიქსირდა ელ.ენერგიის უკანონოდ მოხმარების ფაქტი, დათვალიერდა აბონენტ #7010019570 (მომხმარებელი შპს კახრი რეზორტი) აღრიცხვის კვანძი და აღმოჩნდა, რომ მომხმარებელის მრიცხველი იყო დაზიანებული, ჩამქრალი ჰქოდა ეკრანი და არ აღრიცხავდა მოხმარებული ელ.ენერგიის ხარჯს, ხოლო ტრანსფრმატორის ამომყვანებზე მრიცხველის გვერდის ავლით დაერთებული იყო სადენი (120 მმ კვეთი) აღნიშნული სადენით კი ელ ენერგია მიეწოდებოდა შპს „კახრი რეზორტს". აღწერილი ქმედება

სს "ენერგო-პრო ჯორჯია"
წარმოადგენს სამართალადარღვევას, ელ.ენერგიის დატაცებას, რაზედაც 01 აპრილს, შპს „კახრი რეზორტის" მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ას#011130.

შპს „კახრი რეზორტი"-ს მიერ ელ.ენერგიის დატაცება (სამართალდარღვევა) წარმოადგენს პირველ შემთხვევას, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ 2025 წლის 08 აპრილს ელექტრონულად გამოგზავნილი ინფორმაციით. საქმეში, ასევე, წარმოდგენილია 31.03.2025 წლის №A1514666 აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი, რომლითაც ასევე დასტურდება შპს „კახრი რეზორტი"-ს მიერ ელ.ენერგიის დატაცების ფაქტი. ფაქტს ასევე ადასტურებს საქმეში არსებული ვიდეომასალა. შპს „კახრი რეზორტი"-ს მიმართ 2025 წლის 01 აპრილს შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №011130 ოქმს ხელს არ აწერს ობიექტის წარმომადგენელი, თუმცა შპს „კახრი რეზორტს" ფოსტის საშუალებით გაეგზავნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მასალები, მათ შორის, შეტყობინება სხდომის თარიღისა და დროის შესახებ. აღნიშნული მასალები ჩაბარდა შპს „კახრი რეზორტი"-ს დირექტორს, ხოლო იმისათვის, რომ შპს „კახრი რეზორტი"-ს წარმომადგენელს ჰქონოდა სხდომაზე დასწრების შესაძლებლობა, სხდომა გადაიდო და ხელახლა გაეგზავნა შეტყობინება სხდომის თარიღისა და დროის მითითებით, რომელიც ვერ ჩაბარდა, ამის შემდეგ შეტყობინება გამოქვეყნდა კანონით დადგენილი წესით, თუმცა შპს „კახრი რეზორტი"-ს წარმომადგენელი სხდომაზე არ გამოცხადდა. გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზებისა თუ სხდომის გადადების თაობაზე სამართალდამრღვევს არანაირი განცხადებით არ მოუმართავს. არც წერილობით წარმოუდგენია პოზიცია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის შესახებ. ამდენად, კომისია უფლებამოსილია მისი დასწრების გარეშე განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ საკითხზე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (სამართალდარღვევის ოქმი; აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი; შსს საინფორმაციო–ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაცია; ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან; საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე ჩაბარების დადასტურება, ვიდეომასალა), რომელთა მეშვეობითაც დგინდება შპს „კახრი რეზორტი"-ს (ს/კ 435895916) მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96[1] მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, ელ.ენერგიის დატაცება. სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია ა.ს.კ 240-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. დაცულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების სამთვიანი ვადა.

.....

5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველმა კომისიამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96[1] მუხლის პირველი ნაწილით; მე-10; 38-ე; 236-ე; 240-ე; 228[2]-ე მუხლებით; 266-ე მუხლის მე-4 ნაწილით; სემეკის სემეკის 12.08.10წ. #14 და 28.06.2021წ. #19 დადგენილებებით; ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას" 30.06.2022წ RU2022007 წესით, 10.10.2022წ. #OR2022037 ბრძანებით და:

სს "ენერგო-პრო ჯორჯია"

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

6. შპს „კახრი რეზორტი" (ს/კ 435895916) ცნობილ იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ა.ს.კ. 96[1] მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი – გაფრთხილების სახით.

---

7. იგივე ქმედება, გამოიწვევს ფიზიკური პირის (გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმისა) დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების (რომლებიც დღგ-ის გადამხდელებად რეგისტრირებული არ არიან) დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, ხოლო ინდივიდუალური მეწარმის, იურიდიული პირისა და დაწესებულების (რომლებიც დღგ-ის გადამხდელებად არიან რეგისტრირებული) დაჯარიმებას – 15 000 ლარის ოდენობით.

8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ჩაბარებიდან/საჯაროდ გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის: თბილისი, მიცკევიჩის ქ.#19).

---

9. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებული მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი:

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

კომისიის თავმჯდომარე
ნინელი ბოჭორიშვილი